ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 547

22 ნოემბერი
"---" -------- 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №12-ში მდებარე №56 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.14.05.008.394.01.01.056) და ქალაქ თბილისში, რამაზ შენგელიას ქ. №3-ში მდებარე №2 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.448.01.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №12-ში მდებარე №56 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.14.05.008.394.01.01.056) და ქალაქ თბილისში, რამაზ შენგელიას ქ. №3-ში მდებარე №2 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.448.01.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ოქტომბრის №24.1690.1914 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №12-ში მე-7 სართულზე მდებარე 88.2 კვ.მ. №56 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.14.05.008.394.01.01.056) და ქალაქ თბილისში, რამაზ შენგელიას ქ. №3-ში მე-3 სართულზე (ნიშნული +7.10) მდებარე 71.49 კვ.მ. №2 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.448.01.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით ნიკოლოზ კინტრაიასთვის (პ/ნ. 01024001500) და ნუცა ჩხაიძისთვის (პ/ნ. 01024025526) თანასაკუთრებაში გადაცემაზე, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე